ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1743477

ნომერი: AR1279218

თარიღი : 05.02.2015

გაცემის თარიღი : 26.02.2015

გაცნობის თარიღი : 26.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N 41 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 15 იანვარს #AR1279218 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ახალი გეგმებით ჩანაცვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #41–ში, შპს ,,მეგა სერვის ცენტრი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობის რეკონსტრუქციის(დაშნება) არქიტექტურული პროექტი, ხოლო 23.07.2014წ. #1398175 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 22 ივლისიდან 2015 წლის 22 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებელი უთითებს, რომ 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არ არის დატანილი ყველა სათავსის ფართობის მაჩვენებლი და დაშვებულია მცირე უზუსტობები ფართების მეათედის სიზუსტით დამრგვალებისას, რის გამოც აღნიშნულ ბრძანებაში მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმებზე დატანილი სათავსების ფართების ჯამი არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს შეთანხმებული გეგმების გასწორებული გეგმებით ჩანაცვლებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ გასწორებულ გეგმებზე დატანილი ფართების ჯამი შეესაბამება 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებაში მითითებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას, ამავე ბრძანებით შეთახმებული გეგმების ნაცვლად, დაემატოს 2015 წლის 15 იანვრის #AR1279218 განცხადებით წარმოდგენილი გეგმები;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.2014წ. №1384224 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.